

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის
შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

გასათვალისწინებელია, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების მოქმედი ფორმა, რომლის მონაცემებს განსაზღვრავს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი, აგრეთვე საჯარო მოხელეებისათვის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული დეკლარაციის ფორმა არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას ქონების გადასახადის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი მონაცემების თაობაზე. კერძოდ, დეკლარაციის მოქმედ ფორმაში არ არის გათვალისწინებული:

– მიწის ნაკვეთის დანიშნულება (სასოფლო-სამეურნეო, არასასოფლო-სამეურნეო), კატეგორია (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, ბუნებრივი სათიბები, საძოვრები), ხარისხი (კარგი, მწირი, გაკულტურებული);

– ქონების გადასახადში კუთვნილი შეღავათი, თუ საგადასახადო კანონმდებლობით ასეთი გათვალისწინებულია და ა.შ.

ამასთან, მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები არსებობს ზემოაღნიშნული დეკლარაციების საჯაროობასთან დაკავშირებით, ვინაიდან საგადასახადო კოდექსი კრძალავს საგადასახადო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების გაცემას, ხოლო „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონები საჯაროდ ხდიან ასეთ დეკლარაციებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ასეთი პირებისათვის გაიმიჯნოს საგადასახადო და საჯარო დეკლარაციები.

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებებით ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შევსებისა და წარდგენის ვადა გაგრძელდა 2007 წლის 1 ივლისამდე, ხოლო საჯარო მოხელეებისათვის დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის ვადაა 30 აპრილამდე. აღნიშნული ვადები მნიშვნელოვნად განსხვავდება საგადასახადო კოდექსში ქონების გადასახადის წარდგენისა და ადმინისტრირების ვადებთან და არამარტო შეუძლებელს გახდის ამ პირებთან მიმართებაში ქონების გადასახადის ადმინისტრირებას, არამედ ბევრ პრობლემებს შეუქმნის თვით ამ პირებსაც.

საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებულია, რომ 2 წლამდე საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას საშემოსავლო გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს აქტივის გადაცემამდე, რაც არასწორი და არასამართლიანია, ვინაიდან ფიზიკური პირი აბუკრება იმ შემოსავლიდან რომელიც არ მიუღია და შეიძლება ვერც მიიღოს.

აღსანიშნავია, რომ შეიცვალა საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები, რომელიც განხორციელდა “ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ” საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით. გამომდინარე აქედან, შეიქმნა საჭიროება საქართველოს

საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის მე-6 ნაწილის "ა" ქვეპუნქტში თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ჩამონათვალი ჩამოყალიბდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დადგენილი ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების შესაბამისად. გარდაბნის რაიონიდან თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში გადმოეცა შემდეგი სოფლები: წავეისი, კოჯორი, ტაბახმელა, შინდისი, დიდება, კვესეთი სამადლო, კიკეთი, ნასუგრალი, ახალდაბა, დიდი ლილო. მცხეთიდან შემდეგი სოფლები: დილომი, მშრალი ხევი, დაბა ზაპესი, გლდანი, დიდგორი, ზურგოვანა, თელოვანა, ძველი ვეძისი, აგარაკი, თხინვალი. ამასთან, საქართველოს პარლამენტის ზემოთ აღნიშნული დადგენილებით საქართველოს მთავრობასა და ქ. თბილისის მერიას დაევალოს საგადასახადო განაკვეთები შესაბამისობაში მოეყვანათ (სათანადო პროექტის მომზადების გზით) თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებთან. ზემოხსენებული სოფლების ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცევა იწვევდა მათზე ქ. თბილისისათვის დაწესებული განაკვეთის ავტომატურად გავრცელებას, სასოფლო-სამეურნეო მიწის (ქონების) გადასახადის გაანგარიშებისას. საქართველოს პარლამენტის ზემოხსენებული დადგენილებით გარდამავალ პერიოდში შენარჩუნებული იქნა მანამდე არსებული საგადასახადო და სატარიფო რეჟიმი. სწორედ აღნიშნულის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებას ისახავს მიზნად შემუშავებული კანონპროექტი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

- ნებისმიერი ფიზიკური პირთათვის ქონების გადასახადზე ერთიანი გამარტივებული დეკლარაციის ფორმის შემოღება და დეკლარაციის წარდგენის ვადების ოპტიმიზაცია;

- ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია/რეგისტრაციის პროცესის გამარტივება;

- გარდაბნისა და მცხეთის რაიონებიდან ქ. თბილისის საზღვრებში მოქცეულ სოფლებში მიწაზე ქონების გადასახადის მანამდე არსებული საგადასახადო განაკვეთების შენარჩუნება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს:

- ცვლილებებს საგადასახადო კოდექსის 274-ე და 275-ე მუხლებში, კერძოდ, ფიზიკურ პირთათვის ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვადების ოპტიმიზაციას (ყველასათვის საგადასახადო წლის 1 მაისამდე), აგრეთვე ჩვეულებრივი ფიზიკური პირის მსგავსად თანამდებობის პირებისათვის და საჯარო მოხელეებისათვის ქონების გადასახადის დეკლარაციის წარდგენის ვალდებულების დაკისრებას და ოჯახის წევრების ხელმოწერების ვალდებულების გაუქმებას;

- ცვლილებებს 168-ე და 217-ე მუხლებში, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია;

- 2 წლამდე საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას დაექვემდებარება აქტივის გადაცემიდან (რეგისტრაციიდან) არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ამასთან, მომავალი მესაკუთრის საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე მარეგისტრირებული ორგანო ვალდებულია მატერიალური აქტივის რეალიზატორ ფიზიკურ პირს ან ქონების საჩუქრად მიმღებ ფიზიკურ პირს აცნობოს წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების შესრულებისა

და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი სანქციების დაკისრების შესახებ;

- საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები განისაზღვრება ქ. თბილისის შეცვლილი ადმინისტრაციული საზღვრების შესაბამისად. ამასთან, იმ სოფლების, რომლებიც თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცევაამდე იმყოფებოდნენ გარდაბნის ან მცხეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში, საგადასახადო განაკვეთები პროექტის მიხედვით შენარჩუნებულია იგივე ოდენობით რაც იყო მანამდე და ასეთი სოფლებისათვის ცალკე პუნქტით განისაზღვრება საგადასახადო განაკვეთები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ნეიტრალურია. ამასთან, ფიზიკური პირის მიერ 6 თვიდან 2 წლამდე საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციის საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლდება არ გამოიწვევს დანაკარგებს ბიუჯეტში, ვინაიდან არსებული სტატისტიკით ბოლო 12 თვის განმავლობაში ასეთი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები ფაქტიურად ნულის ტოლია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას პირთა ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით ახალი გადასახადის განაკვეთი არ განისაზღვრება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო
ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს
კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტები არ მონაწილეობდნენ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და
ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.